ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი 31 მაისი 2023 წელი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ფლამინგოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის
№377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის", ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ----- თებერვლის №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ფლამინგოსათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ფლამინგოსათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212833790),

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა №3-ის აღმოსავლეთით (ფართობი: 400 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.24.281), 25 (ოცდახუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე."

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილების მომზადება და გაფორმება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის
№377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის
გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №101 განკარგულებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 15/08/2022 წლის №ბ44.442222763 ბრძანების საფუძველზე, ცვლილება განხორციელდა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“, აღნაგობის უფლებით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამართლებრივ აქტებში, მათ შორის 2017 წლის 26 აპრილს გაფორმებულ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღნაგობის ხელშეკრულება №16-ში.

საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 183-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: უძრავი ნივთის შესაძენად, აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების შემძენზე საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ამავე კოდექსის 234-ე მუხლით, აღნაგობის უფლების წარმოშობისა და შეძენის მიმართ გამოიყენება უძრავი ნივთის შეძენის წესები.

ყოველიზე ზემოაღნიშნულისა, ასევე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „ე.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის

უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი